

# უნივერსიტეტი

28 ივნისი, პარასკევი, 2013 წ. №9
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

## სტუდ-ფტიკი

სტუდენტური ჩანართი

**სტუდენტები რექტორის არჩევნების მოლოდინში** გვ. 8

**პრიზმული საზოგადოება** გვ. 9



**მეცნიერებათა აკადემიის ახალი პრეზიდენტის აქცენტები** გვ. 11



**პიროვნების კონცეფცია მამარდაშვილთან და ლევან ბერძენიშვილის იმპროვიზირებული ლექცია** გვ. 11



**რა გზა არსებობს სწორი ტერმინოლოგიური პოლიტიკის გასატარებლად?** გვ. 13

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი" თსუ-ის რექტორის არჩევნებში მონაწილეობის მსურველ ყველა კანდიდატს, ვინც ოფიციალურად დარეგისტრირდება, თანამშრომლობას სთავაზობს, რათა საუნივერსიტეტო საზოგადოებამ საფუძვლიანად მოახერხოს თითოეული მათგანის კარგად გაცნობა.

# მიმართვა კანონში შესატანი ცვლილებების შეჩერების თხოვნით



20 ივნისს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა დისკუსია „უმაღლესი განათლების შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების თაობაზე. შეკრებილმა საზოგადოებამ კანონში შესატანი ცვლილებების პარლამენტში განხილვის შეჩერების მოტივაციებზე იმსჯელა და განათლების მინისტრისადმი მიმართვის გაგზავნის ინიციატივა გამოთქვა.

გვ. 2



## ინტერვიუ აკადემიკოს ლადო პაპავასთან

# არჩევანი/ არადანის ზღვარზე

## არსებობს თუ არა რეალური ნება უნივერსიტეტის ავტონომიურობისა

*„სიცრუის თქმას არ ვიკადრებ და ვერავის მივცემ იმის პირობას, რომ ჩამიდებენ თუ არა ჯიბეში პატიების ქაღალდს, მაშინვე შევდგები ბერად და იმპერიის დღეგრძელობისთვის ლოცვაში გადავიტყავებ მუხლებს. საითაც გული გამიწევს, იქით წავალ და იმ გზაზე ვივლი, თქვენო ბრწყინვალებავ. ეს არის ჩემი სიმართლე" — გრაფი სეგედისადმი დათა თუთაშხიას ეს აღსარება გამახსენა უნივერსიტეტში რექტორობის მსურველ ლადო პაპავასთან საუბარმა, რომელიც არ აპირებს — შეიცვალოს იმის გამო, რომ სანადელს მიაღწიოს და რექტორი გახდეს. სამართავად რთული პიროვნება, იგი დღესაც იმ აზრზეა, რომ კაცს საკუთარი პრინციპები უნდა ამოძრავებდეს და არა ერგებოდეს სიტუაციებსა თუ მისთვის მიუღებელ პიროვნებებს მიზნის მისაღწევად. სამწუხარო რეალობა მხოლოდ ის გახლავთ, რომ წარსული გამოცდილებიდან მოყოლებული დღემდე ჩვენ ჯერ კიდევ კითხვებს ვსვამთ — აწყობს კი დამოუკიდებელი პიროვნების მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა ან არჩევა ხელისუფლებას, რომელიმე მმართველ რგოლს — ამჟამად კი უნივერსიტეტში მოქმედ აკადემიურ საბჭოს? ან კი რეალურად თავისუფალია ეს აკადემიური საბჭო ყოფილი თუ ამჟამინდელი ხელისუფლების გავლენისგან? იმისათვის, რომ უნივერსიტეტი ჩაგაბარონ, დღესაც აუცილებელია თუ არა იყო „ვიღაცის კაცი"? და ბოლოს, არსებობს თუ არა რეალურად ნება — უნივერსიტეტის ავტონომიურობისა? ეს კითხვები ჩნდება სწორედ ლადო პაპავას მიერ განვლილი ცხოვრების გზისა და მისი მდიდარი ბიოგრაფიული შტრიხების გაცნობისას იმის ფონზე, რომ დღეს მისი ადამიანური რესურსები ბოლომდე არ არის რეალიზებული. რატომ? — ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საზოგადოების ნაწილი ნაკლებად თუ შეიტანდა ეჭვს მასში, როგორც სპეციალისტში, პროფესიონალში, მენეჯერული უნარ-ჩვევებისა თუ ექსპერტული მონაცემების მქონე პიროვნებაში. მის პოლიტიკურ და სამეცნიერო მოღვაწეობაშიც შეცდომის კვალს, მორალური პასუხისმგებლობების გადმოსახედიდან, ნაკლებად თუ იპოვით. ამდენად, სასწორზე რჩება მისი პიროვნული მახასიათებლები, რასაც, როგორც ჩანს, სადღაც აწონიან და შემდეგ უკვე — რა რას გადაწონის, იმაზეა დამოკიდებული განაჩენიც. ჩვენ კი მკითხველთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ — არის თუ არა ეს კაცი „საშიში" უნივერსიტეტისთვის?*

მე-7 გვერდზე

**პარლამენტისგან ველოდებით ან დასტურს კანონპროექტის მისაღებად ან კონსტრუქციულ შემოთავაზებებს**



ბლიც ინტერვიუ განათლების მინისტრის პირველ მოადგილესთან, თამარ სანიკიძესთან გვ. 2

**თუ მთავრობა უკან დაიხევს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი გაწირავს ქვეყნის განვითარების იდეას**



ინტერვიუ თსუ-ის პროფესორთან, პარლამენტის წევრთან გია ჟორჟოლიანთან გვ. 6

## ნომერში

**რატომ დადგა აკადემიური საბჭოს ნდობის საკითხი?**

თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრები გვპასუხობენ გვ. 3-5

**ექვთიმე თაყაიშვილის 150 წლისთავი იუნესკოს ეგიდითაც აღინიშნება** გვ. 14

# არსებობს თუ არა რეალური ნება უნივერსიტეტის ავტონომიურობისა

## არჩევანი/არადანის ზღვარზე

პირველი გვერდიდან

ნინო კაკულია

### ინტერვიუ აკადემიკოს ლადო პაპავასთან



***— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ უკვე მიიღეთ გადაწყვეტილება — რექტორის არჩევნებში მიიღოთ მონაწილეობა. ამ პოსტზე კენჭის საყრელად თქვენ ეყრდნობით საინიციატივო ჯგუფის წარდგინებას. საინტერესოა, ვინ მოიაზრება ამ ჯგუფში?***

— მართალია, მოქმედი კანონი და უნივერსიტეტის დებულება რექტორის ვაკანსიაზე გამოცხადებულ არჩევნებში მონაწილეობისთვის ვინმეს წარდგინებას არ ითვალისწინებს, მაგრამ ჩემთვის ამას და, ალბათ, უნივერსიტეტისთვის და მთელი ქართული საზოგადოებისთვისაც, მორალური მნიშვნელობა აქვს. ჩემი რექტორობის მხარდამჭერთა ხელმოწერების შეგროვების პროცესს არ ვაკონტროლებ – ეს ჩემგან დამოუკიდებლად ხდება. მე მხოლოდ დამიკავშირდა ჩვენი უნივერსიტეტის რამდენიმე მოქმედი ღვაწლმოსილი პროფესორი, ზოგიც ემერიტუსი და მრჩეველთა საბჭოს წევრი და მკითხეს, რა ფორმით შეეძლოთ მხარდაჭერის გამოხატვა. ამის შემდეგ მივმართე იმ ახალგაზრდა დოქტორანტებს, რომლებმაც თავის თავზე აიღეს ხელმოწერების შეგროვების ინიციატივა და დავაკვალიანე — დაკავშირებოდნენ მათ, ვინც თანადგომა გამომიცხადა. მოგვიანებით გავიგე, რომ შეიქმნა სხვა ჯგუფიც, რომლის წარმომადგენლებიც ასევე აგროვებენ ხელმოწერებს ჩემს მხარდასაჭერად. ყველა მათგანი, რამდენადაც ვიცი, ელოდა — წინასაარჩევნო დაპირებისამებრ როდის შეიტანდა „ქართული ოცნება" კანონში ცვლილებას იმასთან დაკავშირებით, რომ რექტორს დოქტორის აკადემიური ხარისხი აუცილებლად უნდა ჰქონდეს. საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან მსგავსი საკანონმდებლო ინიციატივის წამოყენებისთანავე, როგორც ხედავთ, ის ჯგუფები, რომლებსაც რექტორის პოსტზე ჩემი კანდიდატურის წარდგენა უნდათ, გააქტიურდნენ.

***— საკონკურსოდ თუ აპირებთ დოკუმენტაციასთან ერთად ამ ხელმოწერების წარდგენას?***

— ეს ფორმალური პროცედურაა. როგორც ვახსენე, ჩემთვის ამას მხოლოდ მორალური მნიშვნელობა აქვს და არა სამართლებრივი დატვირთვა. ხელმოწერების შეგროვებას მხოლოდ ის ხიბლი აქვს, რომ ჩემი სურვილი — რექტორის არჩევნებში მივიღო მონაწილეობა, გამყარებულია იმ ადამიანების სურვილითაც, რომლებიც უნივერსიტეტში ან სწავლობენ, ან მუშაობენ.

ერთ საინტერესო მომენტს მინდა მივაქციო ყურადღება: თვითონ იმ დოკუმენტთა ჩამონათვალი, რომლის წარდგენაცაა მოთხოვნილი რექტორობის კანდიდატების მხრიდან, ძალიან მწირია. მოთხოვნილი დოკუმენტაცია, პრაქტიკულად, ვერ ასახავს რექტორის კანდიდატის მიერ განვლილი ცხოვრების გზას. მას არ ევალება — საკონკურსოდ წარადგინოს გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია, რაც ჩემთვის გაუგებარია. თუ უნივერსიტეტმა დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი უნდა აირჩიოს, ეს იმას ნიშნავს, რომ მან მხარი უნდა დაუჭიროს მეცნიერს და თუ რექტორობის კანდიდატი მეცნიერია, მას უნდა მოეთხოვებოდეს შრომების სიის წარდგენაც. გამოქვეყნებულ განცხადებაში კი მსგავსი არაფერი წერია.

***— აკადემიური საბჭოს ერთერთმა წევრმა აღნიშნა, რომ არჩევანის გაკეთებისას იგი ყურადღებას მიაქცევს ციტირების ინდექსსა და იმ სტატიათა რაოდენობას, რომელიც რექტორობის კანდიდატს იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში აქვს გამოქვეყნებული...***

— ალბათ, თითოეული პრეტენდენტის სურვილზეა დამოკიდებული, დამატებით თუ რა ინფორმაციას დაურთავს წარდგენილ დოკუმენტაციას. ის, რაც აკადემიური საბჭოს ერთერთ წევრს უთქვამს, აბსოლუტურად სწორ მოთხოვნად მიმაჩნია, რადგან თუ უნივერსიტეტს უნდა — ჰყავდეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე ხელმძღვანელი, მისი ციტირების ინდექსის ცოდნაც, ალბათ, სასურველია. მართალია, ციტირების ინდექსი მეცნიერის საერთაშორისო აღიარების იდეალური კრიტერიუმი არ არის, მაგრამ უკეთესი კრიტერიუმი, უბრალოდ, არ არსებობს. ვინც ამ კუთხით ჩემი მონაცემებით დაინტერესდება, შემიძლია მოგახსენოთ, რომ ჩემი ციტირების ინდექსია 490. იმის გათვალისწინებით, რომ სსრ კავშირის დროს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლებს, არ გვქონდა შესაძლებლობა — ინტეგრირებული ვყოფილიყავით საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში, ჩვენი ციტირების ინდექსი განსხვავდება და იგი საბუნებისმეტყველო დარგის მეცნიერთა ციტირების მაჩვენებელთან შედარებით მცირეა. თუმცა, შემიძლია გითხრათ, რომ, ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, ციტირების ინდექსის მაჩვენებლით ეკონომისტთა შორის მეორე ადგილზე ვარ. ჩემზე მეტი მაჩვენებელი აქვს მხოლოდ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს — ვალერი მაკაროვს. რაც შეეხება იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიათა რაოდენობას, ასეთი სტატია საკმაოდ მაქვს. გარდა ამისა, გახლავართ ერთერთი ასეთი ჟურნალის რედკოლეგიის წევრი და, ხანდახან, ცალკეული ნომრის რედაქტორიც (ეს ჟურნალი აშშ-ში გამოდის). მივესალმები, თუ აკადემიური საბჭო რექტორის არჩევისას ასეთ მონაცემებს მიაქცევს ყურადღებას. ჩემთვის ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

***— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თქვენ მხარდაჭერას გიცხადებთ პროფესურის ის ნაწილიც, რომელთაგან ბევრმა გიორგი ხუბუას რექტორობის დროს აკადემიურ კონკურსებში პროტესტის ნიშნად ან არ მიიღო მონაწილეობა, ან უნივერსიტეტიდან გააძევეს. საინტერესოა, რა კონტაქტები გაქვთ მათთან?***

— პიროვნულად ძალიან ბევრ პროფესორს ვიცნობ და ვიცნობდი. ეს ჩვეულებრივი ამბავია — ერთი პროფესიის ხალხს ყოველთვის აქვს ერთმანეთთან ურთიერთობა და აკავშირებთ ურთიერთგაგება. გარდა ამისა, 16 წელიწადია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი ვარ და, აქედან გამომდინარე, აკადემიის ბევრს წევრს, რომლებიც მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები არიან, კარგად ვიცნობ და თითოეულთან მაქვს პერიოდული ურთიერთობა. ვმუშაობდი უნივერსიტეტშიც და ვიყავი დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი. ასე რომ, ეს კონტაქტები ყოველთვის მქონდა, მთავარია ის, რომ ამ ადამიანებთან საერთო ენის მოძებნა მიადვილდება, რადგან ჩვენ ერთნაირი პროტესტი გვქონდა იმასთან დაკავშირებით, რაც უნივერსიტეტში, სამეცნიერო სექტორში და, საერთოდ, სააკაშვილის რეჟიმის ზეობის პერიოდში ქვეყანაში ხდებოდა. ბუნებრივია, როდესაც ადამიანებს საერთო პროტესტი აკავშირებთ, ერთმანეთს უზიარებენ პოზიციებს, შეხედულებებს, გამოქვეყნებული წერილების შინაარსსა და მედიისთვის გაკეთებულ საკუთარ კომენტარებსა თუ მიცემულ ინტერვიუებს. ურთიერთობის სწორედ ასეთი ფორმა მაკავშირებს იმ პროფესორებთან, რომლებიც დღეს უნივერსიტეტში აღარ არიან. ვამაყობ, რომ მათთან ერთად მეც იმ „ჩარეცხილთა" შორის მოვიაზრებოდი, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის დროს „ჩამოწერეს".

***— მიუხედავად იმისა, რომ თქვენ შევარდნაძის პრეზიდენტობისას ეკონომიკის მინისტრი იყავით, „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ბურჯანაძე-ჟვანია-სააკაშვილის ფრთამ არ გადაგაყოლათ შევარდნაძის ამქარს და, რამდენადაც ცნობილია, 2003-2004 წლის საპარლამენტო არჩევნების სიაში მე-7 ნომრადაც კი შეგიყვანეს, თუ არ ჩავთვლით ბურჯანაძის გუნდში თქვენს პირველობას. არჩევნებში გამარჯვების შემდეგ თქვენ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის" წევრიც იყავით. ასეთი პოზიციების დაკავების შემდეგ რატომ მოგიაზრეს „ჩარეცხილთა" შორის? რა იყო ამის მიზეზი?***

— მიზეზი გახლდათ ჩემი დამოუკიდებელი შეხედულებები და აზროვნება. როდესაც „ნაციონალური მოძრაობის" ფრაქციის წევრი ვიყავი (პარტიის წევრი არასდროს ვყოფილვარ), პრინციპულად არ ვემორჩილებოდი ფრაქციის გადაწყვეტილებებს და ყოველთვის ვაძლევდი ხმას იმას, რის მხარდაჭერასაც საჭიროდ ვთვლიდი. ნიშანდობლივია, რომ „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები საკმაოდ ფრთხილ დამოკიდებულებაში იყვნენ ჩემთან. არ მახსოვს, მაგალითად, 2007 წლამდე მათგან შენიშვნის მოცემა იმ თვალსაზრისით, რომ თქვენ რატომ ხართ წინააღმდეგი, როცა რაღაცას ჩვენ მხარს ვუჭერთო. გავიხსენებ 2004 წელს. მაშინ საჭირო იყო ზურაბ ჟვანიას მთავრობისთვის ნდობის გამოცხადება. მე მაშინ საჯაროდ გამოვედი და ვთქვი, რომ ვარ ზურაბ ჟვანიას მთავრობის ორი წევრის — კახა ლომაიასა და კახა ბენდუქიძის წინააღმდეგი. ამ თემაზე ერთერთ გაზეთში ჩემი ინტერვიუც დაიბეჭდა შემდეგი აქცენტით — როგორ დაანგრევს ორი კახა ქვეყანას: ერთი — ეკონომიკას და მეორე — განათლებისა და მეცნიერების სისტემას. ჩემი პოზიცია „ნგრევის" პათოსით განმსჭვალული ამ ორი პიროვნების მიმართ პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის სხდომაზეც ღიად დავაფიქსირე. მაშინაც კი „ნაციონალური მოძრაობის" ლიდერთა მხრიდან ჩემი ხისტი აზროვნებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულების გამო ფრაქციის დატოვების აუცილებლობა ვერ დავინახე. ფრაქცია მხოლოდ 2007 წლის 5 ნოემბერს დავტოვე, ანუ მაშინ, როდესაც 7 ნოემბრის მოვლენებამდე პროტესტით ქუჩაში გამოსული ხალხის დარბევის გადაწყვეტილებას შევეწინააღმდეგე. ჩემს განცხადებებს სწორედ მაშინ მოჰყვა ჩემდამი სერიოზული მუქარის ზარები და გაფრთხილება, რომ თუ მოქმედებას არ შევწყვეტდი, ჩემს ოჯახზე სერიოზული ზეწოლა განხორციელდებოდა. სხვა გზა არ მქონდა. მივმართე ჩემს კოლეგებს საზღვარგარეთ, სხვადასხვა უნივერსიტეტების პროფესორებს და საქმის კურსში ჩავაყენე. ასევე, მივმართე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტს, რომლისგანაც ზუსტად ნახევარ საათში მივიღე მხარდაჭერისა და თანადგომის წერილი. შემდეგ, ჯერ შვედეთის ელჩმა და, მოგვიანებით, საფრანგეთის საელჩომაც გამომიცხადა მხარდაჭერა და ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ ჩემი ან ჩემი ოჯახის წევრების დაპატიმრების მცდელობის შემთხვევაში საფრანგეთი პოლიტიკურ თავშესაფარს შემომთავაზებდა. მაგრამ ჩვენ გადავრჩით, რადგან სააკაშვილს გადადგომა მოუწია და დაინიშნა კიდეც ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. როცა ამის შემდეგ პარლამენტმა მუშაობა განაახლა, მივიღე გადაწყვეტილება, რომ პოლიტიკა საერთოდ დამეტოვებინა და არც ერთ ოპოზიციურ პარტიაში არ გავწევრიანებულიყავი, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული შემოთავაზებები მქონდა. ასე დავრჩი 2008 წლამდე პარლამენტში დამოუკიდებელ დეპუტატად, რის შემდეგაც აღარ მიყრია კენჭი. „ქართველ ჩარეცხილთა" რიგებშიც ამის შემდეგ აღმოვჩნდი, რითაც, როგორც აღვნიშნე, ვამაყობ, რადგან ამ რიგებში ისეთი ხალხი ირიცხებოდა, რომლის თანამოაზრეობაც, წესით, საზოგადოებაში მხოლოდ პატივისცემას იმსახურებს. თანაც, თუ საერთაშორისო დონეზე ჩემს პოზიციებს გავითვალისწინებთ, ამ მხრივ არასდროს ვგრძნობდი თავს „ჩარეცხილად". საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდში (ფონდმა საქმიანობა ჯერ კიდევ 12 წლის წინ დაიწყო) მე სამუშაოდ ქართველებს არ ავუყვანივარ. ფონდის მესვეურებმა ვაშინგტონის რეკომენდაციით მომიწვიეს მკვლევრად ეკონომიკაში, ისევე როგორც აშშ-ში საქართველოს ამჟამინდელი ელჩი — არჩილ გეგეშიძე მოიწვიეს საერთაშორისო ურთიერთობათა დარგში მკვლევრად.

გარდა ამისა, ჯერ კიდევ პარლამენტში ჩემი მოღვაწეობის დროს ფულბრაიტის პროგრამით 9 თვე ვიყავი მიწვეული აშშ-ში, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევების ნიცშეს სკოლაში. სწორედ ამ სკოლაში ყოფნის დროს დავწერე ჩემი მორიგი წიგნი, რომელზე მუშაობაც დაემთხვა ჩემი ერთერთი საუკეთესო ნამუშევრის — „ნეკროეკონომიკის" გამოსვლას, რომელიც ყველაზე კარგად ასახავდა სიტუაციას პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ამ ჩემი წიგნის პრეზენტაციის მიზნით მიმიწვიეს შემდეგში ლექციებზე ჰარვარდის უნივერსიტეტში, ჯორჯ თაუნის უნივერსიტეტში, ასევე, კალიფორნიის უნივერსიტეტში — დევისში, მიჩიგანის უნივერსიტეტში, კათოლიკურ უნივერსიტეტში და რამდენიმე კოლეჯში. ასე რომ, თვითრეალიზების „შიმშილს" საერთაშორისო ასპარეზზე ნამდვილად არ განვიცდიდი.

***— პოლიტიკური მოღვაწეობის გარდა თქვენს ბიოგრაფიულ მონაცემებში ყურადსაღებია სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებული შტრიხები. საინტერესოა, როდის და რატომ დატოვეთ უნივერსიტეტი, რომელიც თქვენ ერთგვარად გასაზრდოებდათ?***

— დავიწყებ იმით, როდის და ვისი ინიციატივით მოვედი უნივერსიტეტში. 1991 წელს, როდესაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში დირექტორად ამირჩიეს, სწორედ მაშინ იწყებოდა საქართველოში და უნივერსიტეტშიც სერიოზული დუღილის პერიოდი. გამოჩნდა სტუდენტთა ჯგუფი, რომელმაც მოითხოვა, რომ არ უნდოდათ მარქსისტული პოლიტეკონომიის სწავლა. დაიწყო სერიოზული მოძრაობა. იმ დროს სტუდენტებს ძალიან დაეხმარა უნივერსიტეტის მაშინდელი პრორექტორი, აკადემიკოსი ლევან ალექსიძე, რომელიც რექტორის, აკადემიკოს როინ მეტრეველის მხარდაჭერით მოქმედებდა. ამ სტუდენტებმა შექმნეს მაკროეკონომიკის სპეც-ჯგუფი, სადაც თავად შეარჩიეს — ვის უნდა ესწავლებინა მათთვის. ასე მიმიყვანეს სტუდენტებმა უნივერსიტეტში, რაც იქამდე — უნივერსიტეტის ასპირანტურაში ჩემი ჩაბარების მცდელობის ხელშეშლისა და სხვა ინიციატივების ჩახშობის გამო, ვერ მოხერხდა. აი,

მე-10 გვერდზე

# არსებობს თუ არა რეალური ნება უნივერსიტეტის ავტონომიურობისა

## არჩევანი/არადანის ზღვარზე

### მეშვიდე გვერდიდან

რატომ არის ჩემთვის დღესაც სიმბოლური სტუდენტების მხარდაჭერა და რატომ აქვს ჩემთვის მნიშვნელობა იმას, თუ ვისი თანადგომა მიმყარებს საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველს. ასე რომ, როგორც აღვნიშნე, უნივერსიტეტში სტუდენტებმა მიმიყვანეს და აქედან იწყება ჩემი ინტენსიური საპროფესორო კარიერაც. ვამაყობ, რომ უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭომ 1995 წელს მომანიჭა პროფესორის წოდება.

შემდეგ, 1996 წელს, სამწუხაროდ, უნივერსიტეტის დატოვება მომიხდა ჩემი ეკონომიკის მინისტრად დანიშვნის გამო. ვფიქრობდი, რომ ლექციების გაცდენის უფლება ჩემი „დაკავებულობის" გამო არ მქონდა. წამოვედი პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობიდანაც, რადგან ჩავთვალე, რომ ორი თანამდებობა ერთმანეთთან არათავსებადი იყო.

უნივერსიტეტს დავუბრუნდი 2003 წელს, როდესაც ჩემი მეგობრის, იმ დროს ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ელგუჯა მექვაბიშვილის რჩევით მაკროეკონომიკის კათედრის გამგის არჩევნებში მივიღე მონაწილეობა და გავხდი თსუ-ის მაკროეკონომიკის კათედრის გამგე. ამირჩიეს დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრადაც, რითაც ვამაყობ.

შემდგომ კი უნივერსიტეტში ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი ვითარება შეიქმნა, ვგულისხმობ ქალბატონ რუსუდან ლორთქიფანიძის რექტორად დანიშვნას. მის არჩევას მხარი არ დავუჭირე. მახსოვს, როდესაც რექტორის არჩევნები ჩატარდა, დიდ სამეცნიერო საბჭოს აკლდა 7 წევრი — ერთერთი გახლდით მე. მიუხედავად ჩემი მისადმი განწყობისა, რუსუდან ლორთქიფანიძემ კარგად მიმიღო, თუმცა რაზეც შევთანხმდით, სამწუხაროდ, ყველაფერი იმის საწინააღმდეგო გაკეთდა. უფრო მეტიც, იმ პერიოდიდან დაიწყო ლომაიას აგრესიული ქმედებები და უნივერსიტეტში მოდიოდა ურთიერთგამომრიცხავი ცირკულარული წერილები. ამ ვითარების საპასუხოდ ჩემი რამდენიმე ტაქტიკური სვლის მიუხედავად, მივხვდი, რომ რექტორი მარიონეტი უნდა ყოფილიყო და რომ მე ვერ შევაჩერებდი იმ ნგრევას, რაც უნივერსიტეტს ელოდა. პროტესტის ნიშნად დავწერე განცხადება უნივერსიტეტის დატოვების შესახებ და 2005 წლის საგაზაფხულო სემესტრის დასრულებისთანავე წამოვედი იქიდან. ჩემთან ერთად განცხადება დავაწერინე მამაჩემსაც — გიორგი პაპავას, რომელიც უნივერსიტეტის პროფესორი გახლდათ. მაშინ მას ძალიან არ უნდოდა განცხადების დაწერა, მაგრამ მოგვიანებით მიხვდა — რომ არ წამოსულიყო, მას ისედაც გააგდებდნენ ან ასაკის გამო და ან იმის გამო, რომ მამაჩემი იყო. მას შემდეგ, რაც დატრიალდა უნივერსიტეტის თავს, კარგად მოგეხსენებათ. ერთადერთხელ დამირეკეს უნივერსიტეტიდან და უკვე გიორგი ხუბუას რექტორობის დროს შემომთავაზეს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეობა. ვინც დამირეკა, ისე გამოვლანძღე, რომ ვერც წარმოიდგენთ. ვუთხარი: როგორ მაკადრებთ, რომ თქვენს ფარსში მივიღო მონაწილეობა-მეთქი. ხუბუა, რომელთანაც მეცნიერებათა აკადემიაში ვურთიერთობდი, კარგად მიცნობდა და პირადად იგი ვერასდროს გამიბედავდა უნივერსიტეტში, იმ ვითარებაში, პროფესორად მოწვევას. დღეს კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლად იმ კუთხით ვითვლები, რომ ვარ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი. როგორც იცით, ეს ინსტიტუტი თსუ-ს მიუერთეს.

***— 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საზოგადოება ელოდა, რომ „ქართული ოცნება" ეკონომიკური პროფილით მაღალ პოსტს შემოგთავაზებდათ, რადგან, როგორც გამოცდილი კადრი და პროფესიონალი, დასაკარგი არ ხართ. როგორც აღმოჩნდა, ხალხმა თქვენ ვერ გიხილათ მაღალ თანამდებობაზე. ამჟამად, თვლით თუ არა, რომ დღევანდელი ხელისუფლება თუ არ მიესალმება, არ შეეწინააღმდეგება მაინც თქვენი რექტორად არჩევის ფაქტს, თუკი, რა თქმა უნდა, აკადემიურმა საბჭომ მხარი დაგიჭირათ...***

— მე, პირადად, დიდი პატივისცემით ვარ განწყობილი ბატონი ბიძინას მიმართ და ვაღიარებ, რომ ქართველ ერთან ერთად დიდი მადლობელი ვარ იმისთვის, რომ ნაციონალურ ბოროტებას გადაგვარჩინა. საერთოდ კი ვთვლი, რომ მაინცდამაინც კომფორტული პიროვნება არ ვარ და შეიძლება ძალიან ბევრისთვის, უფროსის გადმოსახედიდან, ჩემთან მუშაობა პრობლემა იყოს, ანუ არ ვარ კარგი ქვეშევრდომი. ...და დღეს, იმის გამო, რომ ოღონდაც რექტორი გავხდე, ვერ შევიცვლები. თუ რექტორობას ვიმსახურებ, როგორიც ვარ, ისეთი უნდა გავხდე რექტორი. 58 წლის კაცი გახლავართ და ვიღაცაზე ან რაღაცაზე მორგებას არ ვაპირებ. რთულად სამართავი პიროვნება ვარ და ვფიქრობ, სწორედ ამიტომ მაქვს უფლება — უნივერსიტეტის რექტორობა მინდოდეს. თუკი უნივერსიტეტს მართლაც სურს ავტონომიურობა, ვთვლი, რომ მას სჭირდება ისეთი კაცი, რომელიც ყოველთვის დაიცავს საკუთარ პრინციპებს. მაგალითად, უნივერსიტეტზე პოლიტიკური ზეწოლის შემთხვევაში (თუკი ასეთი რამ კიდევ მოხდება, თუმცა მჯერა, რომ „ქართული ოცნება" ამას არ დაუშვებს), დარტყმა უნდა მიიღოს რექტორმა, ხოლო პროფესორებმა და სტუდენტებმა პოლიტიკური წნეხი საერთოდ არ უნდა იგრძნონ. გარდა ამისა, ნამდვილად არ ვიქნები დაინტერესებული — რომელ სტუდენტს ან რომელ პროფესორს რა პოლიტიკური გემოვნება აქვს. ჩემთვის პრინციპული იქნება მხოლოდ ის, თუ რამდენად კვალიფიციურად წარიმართება სასწავლო და სამეცნიერო პროცესი. თუ აკადემიური საბჭო თვლის, რომ რექტორად ისეთი კაცი უნდა, რომელიც პოლიტიკური პროცესებისგან „ფარად" გამოადგება უნივერსიტეტს და სასწავლო თუ სამეცნიერო პროცესს მიხედავს, ხომ კარგი. არანაირი რევოლუციური ნაბიჯების გადადგმას არ ვაპირებ. საერთოდ, ვთვლი, რომ ნებისმიერი რევოლუცია განათლებისა და მეცნიერების სისტემაში არის დამანგრეველი.

***— რექტორად არჩევის შემთხვევაში როგორი იქნება თქვენი საკადრო პოლიტიკა? ზოგიერთი ექსპერტი თვლის, რომ უნივერსიტეტში დასაქმებულთათვის ხელშეუხებლობის გარანტიის მიცემა რექტორობის კანდიდატებისთვის მომგებიანი პოზიცია იქნება. თქვენი პრინციპულობიდან გამომდინარე საინტერესოა — გაიზიარებთ თუ არა ამ რჩევას?***

— სადაც ვყოფილვარ თანამდებობაზე, არსად არაფერი „დამინგრევია" და დამიშლია, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ადამიანის სამსახურიდან გაშვების დასაბუთებაც არასოდეს გამჭირვებია.

მარტივად გეტყვით ჩემს პოზიციას: ძალიან არ მომწონს ის ფაქტი, რომ დღეს უნივერსიტეტს ბევრი სასამართლო პროცესი აქვს წაგებული. ეს ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტს ამა თუ იმ პიროვნებასთან, ან ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით კომპეტენტური გადაწყვეტილება არ მიუღია. თუკი ჩემი რექტორობის დროს აღმოჩნდება, რომ უნივერსიტეტს რომელიმე გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით რაიმე შეეშალა, რის გამოც შეიძლება წავაგოთ სასამართლო პროცესი, ის ადამიანი (ვის გამოც პროცესს წავაგებთ) დატოვებს სამსახურს. მაგალითად მოვიყვან ერთერთ კონკურსთან დაკავშირებით ხელმოწერების გაყალბების ფაქტს. როცა საკონკურსო კომისიის ერთერთი წევრის ნაცვლად დოკუმენტს ხელს აწერს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ბუნებრივია, სასამართლო პროცესს წააგებ. ეს ხომ უნივერსიტეტის სირცხვილია? ასეთ ქმედებაზე კაცს პასუხი არ უნდა მოეთხოვოს? ჩემი რექტორობის დროს თუკი უნივერსიტეტში მსგავსი მოვლენები გაგრძელდება, რა თქმა უნდა, საკმაოდ მკაცრად მოვითხოვ შესაბამისი პირისგან პასუხს, სხვა შემთხვევაში კი, პირიქით — შევეცდები ვიყო ყველას გარანტი, მათ შორის, პოლიტიკურად განსხვავებული გემოვნების ადამიანების დაცვის თვალსაზრისითაც.

ყველას შემიძლია შევთავაზო კანონის დაცვა; ყველა ღირსეულ პროფესორს ვპირდები უნივერსიტეტში დასაქმებას... ვინც დღეს თსუ-ში მუშაობს, ბევრი მართლაც ღირსეულია, მაგრამ ვინც მიზეზთა გამო გარიყულია, კანონის საფუძველზე და სამართლიანი კონკურსების შედეგად თსუ-ში მათაც დავაბრუნებთ. მე მხოლოდ ამ ჩემი კეთილი ნების თაობაზე შემიძლია მოგახსენოთ და ვერავის შევპირდები ქიშმიშის დარიგებას იმ მოტივითა თუ პათოსით, რომ ოღონდაც რექტორად ამირჩიონ...

***— როგორც რექტორობის კანდიდატი, რა პროგრამით მოდიხართ? როგორია თქვენი ხედვა საუნივერსიტეტო რეფორმის გატარების კუთხით, რასაც, რამდენადაც ვიცით, აუცილებლად თვლით?***

— უნივერსიტეტში ის მახინჯი სტრუქტურაა შესაცვლელი, რაც დანერგეს. განსაკუთრებით ხელოვნურად გამსხვილებული ფაკულტეტების ბედი მაღელვებს. პრაქტიკულად 6 ფაკულტეტი გვაქვს, აქედან 3 არის მონოდარგობრივი, 3 — მრავალდარგობრივი, რაც, ვფიქრობ, შესაცვლელია. მაგალითად, ვთვლი, რომ უნივერსიტეტის ერთერთი სახე იყო მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, ფიზიკის ფაკულტეტი, ფილოლოგიის ფაკულტეტი, ისტორიის ფაკულტეტი და სხვ. ხელოვნურად მათი ერთად თავმოყრა დიდი შეცდომაა.

მინდა, რომ აღდგეს მთელი რიგი ფაკულტეტები, რომლებიც უნივერსიტეტის სახეს წარმოადგენდნენ, მაგრამ ვერავის შევპირდები, რომ ამას მყისიერად გავაკეთებ, რადგან ფაკულტეტების აღდგენა, პირველ რიგში, ფინანსებზეა დამოკიდებული. რასაც საბანი გაწვდება, იმის შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ. თუმცა, ამ თემასთან დაკავშირებით უნივერსიტეტს მხოლოდ ჩემს მოსაზრებებს არ მოვახვევ თავს — აუცილებლად მექნება კონსულტაციები შესაბამისი ფაკულტეტების, შესაბამისი დარგის პროფესორებთან, ანუ აკადემიურ საბჭოზე განსახილველად დაყენებული ნებისმიერი საკითხი წინასწარვე იქნება კონსულტაციების გზით მომზადებული.

***— როგორ ფიქრობთ, დღეს მოქმედი აკადემიური საბჭო ასეთი გადაწყვეტილების სისრულეში მოსაყვანად დაგიჭერთ მხარს?***

— აკადემიურ საბჭოში ვისაც ვიცნობ, საკმაოდ გონიერი ხალხია და უნივერსიტეტის მომავალთან დაკავშირებით თითოეულის აზრი ძალიან მაინტერესებს. რა თქმა უნდა, ჯერ მე უნდა ვუთხრა მათ — რას ვფიქრობ, რათა ხმა მომცენ.

***— მეცნიერების დონე უნივერსიტეტში არის თუ არა თქვენთვის დამაკმაყოფილებელი და რა მიზნები გაქვთ ამ მიმართულებით?***

— ეს არის ერთერთი მტკივნეული საკითხი, რაც, როგორც სამეცნიერო სექტორის წარმომადგენელს, პირადადაც მაღელვებს. იცით, რომ ნაციონალური მმართველობის დროს განადგურდა არაერთი ინსტიტუტი, ლაბორატორია, კვლევითი ცენტრი... შემდეგ უნივერსიტეტებს ხელოვნურად მიუერთეს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ყოფილი ინსტიტუტები, რაც სერიოზულ პრობლემად მიმაჩნია. ამ ინსტიტუტებს საკუთარი სტატუსიც კი არ აქვთ... თუმცა, მინდა, მადლობა ვუთხრა ალექსანდრე კვიტაშვილს, რომელსაც, სხვა უნივერსიტეტების ხელმძღვანელებისგან განსხვავებით, ეს ინსტიტუტები არ დაუშლია და იქიდან ხალხი არ გამოუყრია. ეს კვიტაშვილის მხოლოდ დადებით მხარეზე მიუთითებს.

მაგრამ ამ ინსტიტუტების ასე ჰაერში გამოკიდება არ შეიძლება. ვთვლი, რომ თვითონ ინსტიტუტებმა უნდა გადაწყვიტონ თავიანთი ბედი — უნდათ თუ არა მათ უნივერსიტეტის წიაღში დარჩენა? თუ მოისურვებენ ჩვენთან ერთად მუშაობას, მაშინ ერთად უნდა ვიფიქროთ — როგორ გააქტიურდნენ? როგორ შეიძლება გაიზარდოს მათი დაფინანსება, რადგან დღეს კატასტროფული სხვაობაა ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლისა და უნივერსიტეტის პროფესორის ხელფასს შორის. გარდა ამისა, უნდა გამოვძებნოთ გზა — როგორ შეიძლება ამ ინსტიტუტების ინტეგრაცია უნივერსიტეტის სასწავლო-სამეცნიერო პროცესში. ვთვლი, რომ უნივერსიტეტები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი დოქტორანტების მომზადებაში და ამ თვალსაზრისითაა სწორედ ინსტიტუტების ფუნქცია გასაზრდელი. როცა უნივერსიტეტში შენ გაქვს სამეცნიერო კვლევითი ბაზა, რატომ არ უნდა გამოიყენო ის? რატომ არ უნდა მისცე თუნდაც ამ ინსტიტუტებს სადოქტორო დისერტაციების დაცვის წარმოების უფლება? ასე რომ, შესამუშავებელია სქემა, თუ როგორ უნდა გაძლიერდნენ ის ინსტიტუტები, რომლებიც უნივერსიტეტის ფრთებქვეშ აპირებენ ფუნქციონირებას.

***— სტუდენტები აპროტესტებენ სწავლების ხარისხს უნივერსიტეტში. თქვენ როგორ მოახერხებდით სტუდენტების დაკმაყოფილებას სწავლების კუთხით?***

— ლექციაზე ერთერთმა სტუდენტმა სახელმძღვანელოების პრობლემა წამოჭრა და მე მას ვუთხარი, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება ყველა ფაკულტეტზე ტრაფარეტულად ერთნაირი მიდგომა არსებობდეს. მე, როგორც ეკონომისტი, ჩვენს ფაკულტეტზე საერთოდ ავკრძალავდი ბაკალავრიატის საფეხურზე ჩვენი პროფესორების მიერ დაწერილი სახელმძღვანელოებით სწავლას; შევარჩევდი მსოფლიოში აღიარებულ საუკეთესო სახელმძღვანელოებს და მათ ქართულად ვათარგმნინებდი; ვიყიდიდით საავტორო უფლებას და კონკურსის წესით შერჩეულ პროფესორებს დავასაქმებდი ამ მიმართულებით — თარგმნისთვის მათ ან დამატებით ანაზღაურებას მივცემდი ან საათობრივ დატვირთვაში ჩავუთვლიდი საქმიანობას. ხოლო სხვა ფაკულტეტებზე თავად დარგის სპეციალისტებმა უნდა მითხრან — როგორ სჯობს. ჩვენ იმდენად ძლიერი სკოლა გვაქვს მათემატიკაში, რომ ბაკალავრიატში ქართველი მათემატიკოსების მიერ დაწერილი სახელმძღვანელოებითაც შეიძლება სწავლა. ასე რომ, ყველა ფაკულტეტს ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება.

***— იქიდან გამომდინარე, რომ თქვენ არასდროს ერიდებით საკუთარი აზრის გამოთქმას თქვენთვის საჭირბოროტო ყველა საკითხზე, დაგდგომიათ თუ არა დრო — გეფიქრათ ტაქტიკის შეცვლაზე, რათა თუნდაც დღევანდელ სიტუაციაში (როცა რექტორობა გადაწყვიტეთ), ხელისუფლების ან, მაგალითად, თსუ-ის აკადემიური საბჭოს კეთილგანწყობა მოიპოვოთ?***

— ვთვლი, რომ ვარ თავისუფალი ადამიანი და ჩემთვის დიდი ფასი აქვს — ვიყო თავისუფალი. რა თქმა უნდა, ასეთმა პრინციპულობამ ბევრჯერ მაზარალა. მე საზოგადოება მიცნობს, როგორც დამოუკიდებელ პიროვნებას და არც შემიძლია, რაიმე შევცვალო ტაქტიკის თვალსაზრისით.

ჩემთვის უმნიშვნელოვანესია უნივერსიტეტის დეპოლიტიზაციის საკითხი. თუკი გავიმარჯვებ არჩევნებში, მინდა, ვიყო იმის გარანტი, რომ უნივერსიტეტი გათავისუფლდეს პოლიტიკური პროცესებისგან. თუ გავხდები რექტორი, გაძლევთ პირობას, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს პრეზიდენტობის არც ერთ კანდიდატს არ მოვიწვევთ საუნივერსიტეტო საზოგადოებასთან შესახვედრად. ხოლო, როცა გახდება პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი თუ პარლამენტის თავმჯდომარე, რა თქმა უნდა, ჩვენ მაშინ მოვუსმენთ თითოეულს, რადგან გვაინტერესებს — საით მიჰყავთ ჩვენი ქვეყანა? რა ხედვა აქვს ჩვენს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს თუ პარლამენტის თავმჯდომარეს? როცა ჩაივლის პოლიტიკური პროცესები და დაშოშმინდება ქვეყანა, ბუნებრივია, უნივერსიტეტი კარს გაუღებს მათ მოსასმენად. თუმცა, ქვეყნის პირველ პირებთან შეხვედრაზე წინასწარ შეთანხმებული და მოტკბო კითხვებით „შეიარაღებული" სტუდენტების სიით შეშვების წინააღმდეგი ვიქნები. სტუდენტებს აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება, პირველ რიგში, უნივერსიტეტში უნდა მივცეთ. ამ ჩემი პრინციპების გამო თუ მოვხვდები ოდესმე წნეხის ქვეშ, არც იმაზე დავიხევ უკან, რომ პროტესტის ნიშნად გადავდგე და საზოგადოებას ვუთხრა, რომ ჩემი გადადგომით გეუბნებით — უნივერსიტეტზე ზეწოლა უნდა განხორციელებულიყო-თქო.

***— მიუხედავად იმისა, რომ პრინციპული ბრძანდებით, ხართ თუ არა ლოიალური ადამიანი?***

— ზოგს გონია, რომ უხეში ვარ, რასაც არ ვიზიარებ. ვარ საკმაოდ კომუნიკაბელური. ძალიან მიყვარს ადამიანების მოსმენა და განსაკუთრებით ჭკვიანი ადამიანების. რაიმე საკითხზე ჩემი გადარწმუნება, თუკი სერიოზული არგუმენტები არსებობს, ძალიან ადვილია.

***— როგორ რეაგირებთ თქვენდამი მომართულ კრიტიკაზე?***

— ჩვეულებრივად... თუ ობიექტურია — ვიღებ, თუ სუბიექტურია — მაქვს შესაბამისი რეაქცია.

***— თქვენი მოსწავლეები, ვინც დღეს ხელისუფლებაშია, იყენებენ თუ არა იმას, რაც თქვენ ასწავლეთ? როდესმე „გამზრდელს" ხომ არ გასჩენია სურვილი — „თავი მოეკლა" რომელიმე ცუდი მოწაფის გამო?***

— ერთხელ მქონდა მსგავსი სურვილი, თუმცა არ მინდა ამის გახსენება, რადგან ვთვლიდი, რომ იგი იყო ერთერთი ჩემი ყველაზე გამორჩეული მოწაფე. მეგონა, რომ უფრო გონიერი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, შევცდი.

დღეს მე ვამაყობ ჩემი მოწაფით — ნოდარ ხადურით. სხვათა შორის, კათედრიდან ჩემი წამოსვლის შემდეგ სწორედ ნოდარ ხადური აირჩიეს მაკროეკონომიკის კათედრის გამგედ. მან ძალიან ბევრი კარგი საქმე გააკეთა. მაგალითად, ნოდარმა არ დაიწყო მაკროეკონომიკის სახელმძღვანელოს თვითონ წერა და, აშშ-ის საელჩოს დახმარებით, შესანიშნავი წიგნი თარგმნეს. ვთვლი, რომ ამით ქართველ სტუდენტობას დიდი საქმე გაუკეთეს. იგი საკმაოდ ნიჭიერი ადამიანია, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეკონომიკურ საკითხებთან მიმართებაში ჩვენ განსხვავებული შეხედულებები არ გვაქვს და ეს ნორმალურია. თუმცა, ჩვენ ვართ თანამოაზრეები და ვთვლი, რომ იგი ჩემი ყველაზე საუკეთესო მოწაფეა.

***— თქვენი რექტორად არჩევის შემთხვევაში აღადგენთ თუ არა უნივერსიტეტის წარსულ იმიჯს?***

— წარსულს პატივს ვცემ, მაგრამ ყოველთვის წინ ვიხედები, რადგან განვითარებას წინ ყურება სჭირდება.